ორი განსხვავებული ტაიმი

თბილის. “ლოკომოტივის” სტადიონი. 14 მაისი.

“დინამო” (თბილისი) - “ყაირათი” (ალმა-ათა) - 1:0 (1:0).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მჭედლიშვილი (ჭელიძე), გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“ყაირათი”: შვედკოვი, დიშლენკო, მუსინი, ბაიშკოვი, მარკინი, მიხაილინი, სოლდატოვი, ჩებოტარიოვი (ხისამუტდინოვი), ევლენტიევი (პლუგავსკი), როჟკოვი, სევიდოვი.

მსაჯი: ე. რუდნევი (მოსკოვი).

დუბლიორები - 1:1.

ალმა-ათის გუნდის გამოსვლა თბილისელ მაყურებელს არაერთხელ უნახავს. “ყაირათი” არასოდეს ეკუთვნოდა სამამულო ფეხბურთის ელიტას, მის რიგებში არ გვინახავს ექსტრაკლასის ფეხბურთელები, პირველხარისხოვანი ოსტატები, მაგრამ გამარჯვების მოპოვება მასთან არასოდეს ყოფილა იოლი. ალმაათელები მუდამ გამოირჩეოდნენ დიდი ბრძოლისუნარიანობით.

ახლა კი, როცა “ყაირათი” თბილისში ჩამოვიდა ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის მაღალ როლში, როცა მის აქტივში უკვეა ის ქულები, რომლებიც ამ გუნდს ესოდენ გამოადგება საშემოდგომოდ, მატჩს სულ სხვა ხასიათი მიეცა. ცხადი იყო, რომ 2 ქულის აღებას დიდი ჯაფა დასჭირდებოდა.

მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. დინამოელებმა მატჩი მოიგეს, უკიდურესად საჭირო გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში, ამ გამარჯვებას კი მატჩის მეორე ნახევარში განუწყვეტლივ თან სდევდა რეალური საშიშროება იმისა, რომ ვითარება ადვილად შეიძლებოდა შეცვლილიყო.

თამაშის დასაწყისი მიმდინარეობდა ისე, რომ ჩვენს ფეხბურთელთა მიმართ პრეტენზიები ცოტა გვაქვს. თბილისელებმა აქტიურად წამოიწყეს საიერიშო მანევრები ცენტრში, ნახევარმცველებმა დამაჯერებლად აიღეს ხელთ ინიციატივა და “ყაირათი” საფუძვლიანად აღმოჩნდა დაბორკილი თავის ნახევარზე. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს კუტივაძემ, რომლის შორეული, ზუსტი გადაცემები რეგულარულად მისდიოდათ თავდამსხმელებს. ამას გარდა, შვედკოვსაც დასჭირდა რამდენიმე მათგანის აღება. სისტემატურად ერთვოდა იერიშს მაჩაიძე, რომლის სწრაფი რეიდების წინააღმდეგ სტუმრებს საგანგებო კონტრზომების მიღება დასჭირდათ. კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის საქმეს მჭედლიშვილი. ამავე ზონაში ხშირად შედიოდა დაცვითი ხაზებიდან პეტრიაშვილიც, დიდი დიაპაზონისა და სამოქმედო ზონის ფეხბურთელი.

ეტყობა, ნახევარდაცვის ასეთი მძლავრი დაწოლის შემდეგ იყო ის, რომ თავდამსხმელებიც დიდი დატვირთვით თამაშობდნენ და თითოეულ მათგანს არაერთი სახიფათო მომენტი შეექმნა “ყაირათის” კართან.

26-ე წუთზე მასპინძლებმა მორიგი იერიში განახორციელეს. მაჩაიძემ სწრაფად და მოულოდნელად შეასრულა გარღვევა, რომელიც კარში დარტყმით დამთავრდა. ბურთი მოხვდა მცველს, დაბრუნდა მინდორში და აქ ღია პოზიციაში აღმოჩნდა გ. ნოდია. გოლის გატანა მას არ გასჭირვებია - 1:0.

მართალია, ამ გოლის შემდეგ თამაში ოდნავ ჩაცხრა, მაგრამ უპირატესობას მაინც თბილისელები ინარჩუნებდნენ. ამდენად, ყველაფერი რიგზე ჩანდა.

დაიწყო მეორე ტაიმი და მდგომარეობაც მკვეთრად შეიცვალა. ჩვენი ნახევარმცველების აქტიურობამ რატომღაც მკვეთრად იკლო. ისინი შუა მინდორზე ჩაიკეტნენ, ამის შედეგად იკლო თავდამსხმელთა აგრესიულობამაც და ალმაათელებს საშუალება მიეცათ სწრაფად გადაეტანათ თამაში წინ. ძალიან სახიფათოდ და ეფექტურად თამაშობდნენ პლუგავსკი, სევიდოვი, ხისამუტდინოვი და სხვანი. იყო მომენტები, როცა ურუშაძეს თითქმის საგოლე მდგომარეობაში მოუხდა თავისი გუნდის ხსნა, ამასთან, ჩვენი დაცვის მოთამაშეები ზომაზე მეტად უშვებდნენ შეცდომებს.

ერთი სიტყვით, მეორე ტაიმის განმავლობაში არაერთი უსიამოვნების გადატანა მოგვიხდა და მხოლოდ გაჭირვებით შევინარჩუნეთ გამარჯვება ერთობ მოკრძალებული, მინიმალური ანგარიშით.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 16 მაისი, 1971 წ.